



„ტსუ – საბავშვო უნივერსიტეტის“ პოპულარობა იზრდება

საბავშვო უნივერსიტეტი, რომელიც თსუ-ს ბაზაზე უკვე 5 წელია არსებობს საჯარო და კერძო სკოლების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ბევრ საინტერესო პროექტს სთავაზობს. თსუ პირველ კორპუსში ექსკურსიების გარდა სხვადასხვა ფაკულტეტზე შექმნილ „ნორჩ ჰუმანიტარია“, „ნორჩ ეკონომისტი“, „ნორჩ ფიზიკოსი“, „ნორჩ ქიმიკოსი“, „ნორჩ ასტრონომი“, „ნორჩ იურისტი“ და სხვა, 20-მდე სკოლაში გაწვევრიანება ბავშვებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლიათ. აქ მათ კონკრეტული საგნის შესახებ მათთვის საინტერესო კითხვებზე მარტივად შეუძლიათ პასუხის მიღება. ამასი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და უფროსკურსელები ეხმარებიან, რომლებიც როგორც ადრე, ისე ახლაც მათ ლექციებს უსასყიდლოდ უტარებენ.

ყოველ კვირას სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსკურსელები მომავალი კვირისთვის ბავშვებს ერთ კონკრეტულ ახალ თემას სთავაზობენ, რომელზეც საინფორმაციო ლექცია მზადდება და დისკუ-



გაზრდილება მე-2 გვ.



იხი ჩვენთან ერთად

ფოტოკონკურსი სტუდენტებისთვის



გვ. 3

5 ათასი წლის წინანდელი სამარხები სოფელ დოღლაურთან



ქარელის მიმდებარე გერეგორიაზე სოფელ დოღლაურთან 5 ათასი წლის წინანდელი მტკვარ-არაქსის (ადრე ბრინჯაოს ხანის) და გვიანი ბრინჯაოს ხანის (ადრე რკინის ხანის) სამარხები აღმოაჩინეს. გათხრები 8 პექტარ მიწის ფართობზე მიმდინარეობს, აღმოჩენილია 200-ზე მეტი სამარხი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმის პირველი ერთობლივი ექსპედიცია 2012 წლის სექტემბერში დაიწყო. ექსპედიციას, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობენ, თსუ-ს მხრიდან ხელმძღვანელობს ვახტანგ ლიხელი, ხოლო ეროვნული მუზეუმიდან იულონ გაგოშიძე, მათ ეხმარებიან თელავის უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც გოგა რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული სამუშაოს მთავარი მიზანია გადარჩინოს ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც თავმოყრილია რუისი-აგარის აუგოსაგზაო მაგისტრალის მშენებლობის მონაპოვში. აქ გამოვლენილია უმარამაზარი სამაროვანი, რომელსაც ანალოგიები არ აქვს საქართველოს გერეგორიაზე. სამაროვანი ორ პერიოდს მოიცავს: ძველი წელთაღიგების მესამე ათასწლეულის დასაწყისის სამარხები, ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხები, რომლებიც აქ ძალიან ინტენსიურად არის წარმოდგენილი. აქვე გვხვდება ძველი წელთაღიგების მეთოთხმეტე საუკუნის სამარხები, და ძველი წელთაღიგების მე-VIII-VII საუკუნის სამარხები. ყველა წარმოდგენს ე.წ. ორმო სამარხს თავისი ფორმის გამო. ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხებს თავზე აქვს ჩვეულებრივი ქვაყრილი და, როგორც ჩანს, ისინი ყორღანული ტიპისა უნდა ყოფილიყო.

გაზრდილება მე-2 გვ.

საერთაშორისო საავტორო სამართლის სასპერტიფიკატო კურსი ტსუ-ში



გვ. 3

ლიტერატურული ინსპირაცია ქართულ შატოში



გვ. 4

ტსუ-ში დისტანციური სწავლების ახალი მეთოდი ინერგება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე, დისტანციური სწავლების სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. ეს, გრადიციული სწავლების პარალელურად, ელექტრონული სწავლების დანერგვასაც გულისხმობს. როგორც სოციოლოგიის პროფესორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი იაგო კაჭკაჭიშვილი განმარტავს, ელექტრონული სწავლების მეთოდი არ არის ექსპერიმენტი, ეს არის ფაქტი, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაში წარმატებით მუშაობს.

დისტანციური სწავლება, რომლის დანერგვაც თსუ-ში ცოცხალია წინ დაიწყო, პროგრამა Moodle-ის მეშვეობით ხორციელდება და ის მსოფლიოში კარგად აპრობირებული სისტემაა. Moodle შექმნა მარტინ დოუგლიამსმა და იგი ორიენტირებულია საშუალო დინამიურ სწავლაზე. იგი წარმოადგენს თავისუფალ და გახსნილ ელექტრონული სწავლების პროგრამას. პროგრამა უკვე თარგმნილია 82 ენაზე. ის შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი ელემენტისგან. ამ პროგრამის კონსტრუქცია აძლევს საშუალებას ნებისმიერ მომხმარებელს შექმნას დამატებითი მოდული. ამასთან მას აქვს შესაძლებლობა გახდეს საერთაშორისო პროექტის ნაწილი.

საქართველოში Moodle-ს პროგრამით ელექტრონული სწავლების მეთოდის დანერგ-

ვას ემსახურება ესკონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გალინის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი „Supporting the improvement of the quality of teaching at the social faculties of Tbilisi and Batumi Universities raise the qualification of the lectures and implementing the effective e-learning system“. პროექტში ჩართულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის უნივერსიტეტი. პროექტის ხელმძღვანელია გალინის უნივერსიტეტის პროფესორი მარიკა მილი და მისი ხანგრძლივობა იყო 2010 წლის სექტემბერიდან 2012 წლის აგვისტოს პერიოდი. პროექტი გულისხმობს როგორც ტრენინგებს ლექტორებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ასევე პრაქტიკულ დახმარებას სასწავლო პროგრამების შექმ-

ნაში. ტრენინგები ეტაპობრივად გარდებოდა თბილისში და გალინში. ლექტორები ძირითადად ესკონელი პროფესორები იყვნენ.

ბოლო სწავლების კურსი, რომელიც ძირითადად სოციალური ფაკულტეტის მიმართულებით განხორციელდა, ჩატარდა გალინში ივანეში და იქ მიწვეულები იყვნენ თსუ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები იაგო კაჭკაჭიშვილი, ქეთევან ცინცაძე, თამარ მხარაძე, ზურაბ გაგანაშვილი და მაკა ერაძე.

სემინარების თემატიკა იყო ელექტრონული კურსების შექმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში.

როგორც პროექტის მონაწილე იაგო კაჭკაჭიშვილი აცხადებს, ამ პროექტის მიზანი იყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და ელექტრონული პორტალების გამოყენება

გაზრდილება მე-3 გვ.

თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ბთაშავრობი ხარისხის განვითარების პროცესული ცენტრის მიერ აკრედიტებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასპერტიფიკატო კურსებს

გვ. 4

„ტსუ – საბავშვო უნივერსიტეტის“ კოკულარობა იმრდება

პირველი გვერდი

სია იმართება. ერთ-ერთი ბოლო თემა, რომელზეც ცხარე კამათი გაიშალა – „პირველი, მასა და ბრო“ იყო. ეს თემა განსახილველად თავად კლუბის წევრმა სკოლის მოსწავლეებმა წამოვიწყეს. ყოველ შაბათს თსუ პირველ კორპუსში მდებარე მედიკოვლის დარბაზში „სადისკუსიო კლუბის“ შეკრებაზე ასევე მეტი მოსწავლე იყრის თავს. 13.00-დან 15.00 საათამდე აქ მოსწავლეთა „სადისკუსიო კლუბი“ მუშაობს. მათი ლექციების შემდეგ კი „სადისკუსიო კლუბი“ უკვე უნივერსიტეტის სტუდენტებს მასპინძლობს. მოგჯერ სკოლის მოსწავლეები სტუდენტებისთვის განკუთვნილ ლექციებზე რჩებიან. იმ სტუდენტებს შორის, რომლებსაც კლუბის საქმიანობაში ყველაზე აქტიურად არიან ჩართული განსაკუთრებით რამენიმეს გამოყოფა შესაძლებელი. მათ შორის კლუბის კოორდინატორი ქეთი მურუსიძეა, რომელსაც ლევა ლორთქიფანიძე, გიორგი გრიგოლაშვილი და მიხეილ გაბელია ეხმარებიან.

„ყოველ წელს, იმისათვის რომ „სადისკუსიო კლუბი“ პასიური მსმენელებიდან აქტიურ მონაწილეებად იქცნენ, ბავშვებს გარკვეულ სიახლეს ვთავაზობთ. სკოლის მოსწავლეები ჩვენთან მათთვის საინტერესო თემების წამოწევას, პრეზენტაციების გაკეთებას და კამათის ხელისშეწყობას სწავლობენ. დღეს ჩვენ სკოლებს ადგილზე მისვლას, სხვადასხვა თემაზე ლექციის წაკითხვას ვთავაზობთ. ასევე მსგავსი სადისკუსიო კლუბების სკოლებშივე ჩამოყალიბებას ჩვენი „სადისკუსიო კლუბი“ უკვე მეორე წელია რაც არსებობს და წელს გაცილებით მეტია გამოხატულება. ცნობისათვის არა მხოლოდ ჩვენს კლუბში, არამედ ყველა სკოლაში, რომელიც „საბავშვო უნივერსიტეტში“ არსებობს. გარდა ამისა, მათთვის ეს არის გრიბუნა, სადაც მათ თავის აზრს გამოთქმა შეუძლიათ. სხვათა შორის, ის ბავშვები ვინც ჩვენთან ჯერ კიდევ შარშანდლიდან დადიან

წელს აშკარად განსხვავდებიან ახლადმოსულებისგან თავის დაჭერის მანერით, თავისი ნათქვამის დასაბუთების უნარით და ბევრი სხვა რამით. – აცხადებს თსუ რექტორის მრჩეველი, თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორი მარინა ლომოური, რომელიც „სადისკუსიო კლუბს ხელმძღვანელობს“.

თსუ მუსგმა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა საბავშვო უნივერსიტეტში გასულ წელს 800, წელს კი 900 მსმენელი მიიღო. როგორც თსუ მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა თემურ ნადარეიშვილმა აღნიშნა, მათი მიმართულებისადმი სკოლის მოსწავლეების დიდი ინტერესი იქიდანაც ჩანს, რომ თუნდაც მის პირველსავე ლექციაზე დასასწრებად 120 ბავშვი მივიდა. როგორც სხვა ფაკულტეტებზე არსებულ „ნორჩი ეკონომისტი“-ს, ისე აქაც თსუ-ში ლექციების მოსასმენად სკოლის მოსწავლეები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ მთელი საქართველოდან დადიან.

ახლა „ნორჩი ფიზიკოსთათვის“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აქტივობა ფიზიკის საკითხზე გამართული ვიქტორინებია. მასში მონაწილეობის მისაღებად წელს 27 სკოლის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებულ მოსწავლეთა ჯგუფები ჩაერთვნენ. ფინალი წლის ბოლოს, 22 დეკემბერს გაიმართება.

როგორც „ნორჩი ეკონომისტი“ სკოლის კურატორი მარი უკლება აცხადებს, ლექციებზე დასასწრებად რეგისტრაცია უკვე 103 ბავშვმა გაიარა, თუმცა ცოცხა ხანში მათ კიდევ რუსთავეის, კასპის მეცხეთის სკოლების მოსწავლეებიც დაემატებიან. ყოველ წელს ეკონომისტი თავის მსმენელებს განახლებული პროგრამითა და თემატიკით ხვდება. იმ აქტივობათა შორის რომელშიც „ნორჩი ეკონომისტი“ არიან ჩართული, საერთაშორისო კონფერენციებიცაა. „სოფლის გან-

ვითარების“ თემატიკაზე მომავალი წლის გამაფხულისთვის დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციის მიხედვით მომზადდება სპეციალური სალექციო კურსი სკოლის მსმენელებისთვის. „ნორჩი ეკონომისტი“ შესაბამის მოხსენებას თავადვე მოამზადებენ და კონფერენციას დაესწრებიან.

ერთ-ერთი სკოლა, რომელიც ბავშვებში დიდი ინტერესით სარგებლობს, „ასტრონომია სკოლაა“. პროფესორ შალვა საბაშვილის ყველაზე აქტიურ მსმენელებს შორის აქ მესამეკლასელებიც კი არიან. კვირაში რამდენიმეჯერ ასტრონომიის ზოგად საფუძვლებზე ლექციას ბავშვები თსუ მეორე კორპუსში მდებარე პლანეტარიუმში ისმენენ. მათი ინტერესთა არეალი საკამოდ დიდია. სადაც ყურმოკვრით გაგებულ ამბავს ისინი ლექციაზე ამუშავებენ. სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთათვის ლექციები ძირითადად ერთ თემატიკაზე მზადდება. განსხვავება ძირითადად მასალის მათთვის მიწოდების ენაშია. ბუნებრივია, რომ უმცროსკლასელებისთვის ლექციები უფრო მარტივი ენით იკითხება. თუმცა, როგორც ბავშვი შალვა ამბობს: „ასტრონომიის მოყვარული უმცროსკლასელებიც კი ზოგჯერ სერიოზული სპეციალისტის შესაფერის კითხვას სვამენ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასულ წლებთან შედარებით „საბავშვო უნივერსიტეტის“ მსმენელთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. „საბავშვო უნივერსიტეტისადმი“ სკოლის მოსწავლეების გაზრდილი ინტერესი იმის დამსახურებაა, რომ დღეს ბავშვები, ჩანს უფრო მეტად აცნობიერებენ, თუ რა ინტერესებით და რის გაკეთებას აპირებენ მომავალში“. – აცხადებს „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი მარინა ლომოური.



თსუ-ში დისტანციური სწავლების ახალი მეთოდი ინერბება

პირველი გვერდი



სწავლების მეთოდში სტუდენტების მიმართულებით. ამ სახის სწავლება სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: სტუდენტებთან კომუნიკაცია – თუ მათ გაუჩნდებათ შეკითხვები ან თუ იმ საკითხზე ან დავალებასთან დაკავშირებით, შეუძლიათ დასვან ეს კითხვები Moodle პროგრამაში, სადაც წინასწარ დარეგისტრირდებიან და მიიღებენ პროფესორისგან შესაბამის პასუხებს. ამასთან, პროგრამის მეშვეობით ლექტორს ექნება საშუალება შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა. ეს პროგრამა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტების კვალიფიკაცია გაიმართოს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით და ბოლოს, ლექტორს შეუძლია აგვირთოს სასწავლო მასალები, რომელსაც სტუდენტები გაეცნობიან.

„ეს არის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგია. და თუ გინდა, ითვლებოდე თანამედროვედ, ვალდებული ხარ აუწყო ფეხი ამ პრო-

ცესს. ვეროპის ძალიან ბევრ უნივერსიტეტში ეს პროგრამა წარმატებით მუშაობს. უკვე დადასტურებულია, რომ პროგრამა ოდელე ხელს უწყობს სწავლების ეფექტურობას, რადგან ელექტრონული კომუნიკაცია ერთეულ სწავლებაში, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი. ეს კი ძალიან აადვილებს სწავლების პროცესს.“ – ასე აუხასებს იაგო კაჭკაჭიშვილი სწავლების ელექტრონულ სისტემას. მას უკვე დაწყებული აქვს მუშაობაც, რომ საკუთარი სასწავლო კურსები თანდათან გადაიტანოს სწავლების ელექტრონულ სისტემაზე.

„როდესაც აუდიტორიაში გყავს 140 სტუდენტი, თავისთავად ცხადია, ხშირად შეუძლებელი ხდება შეკითხვის დასმა, ელექტრონული პროგრამა კი იძლევა სიგუაურ რეჟიმში სტუდენტებთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. აქამდე სტუდენტს ხვდებოდათ კვირაში ერთხელ ლექციაზე, ამ შემთხვევაში უკვე ყოველდღიურ რეჟიმში შეგიძლია ურთიერთობა.“ – ამბობს იაგო კაჭკაჭიშვილი. თუმცა, როგორც სოციოლოგიის პროფესორი აღნიშნავს, გრენინგების გარდა გააღწიეს ვიზიტის ქეონდა სხვა მნიშვნელოვანი დაინოვლებაც. როგორც ცნობილია, თსუ-ში სოციალური პროფესიის შესწავლის კურსი

2005 წელს დაინერგა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დაიწყო კვალიფიკური სოციალური მუშაკების გამოყენება, ამიგომ ქართველი სოციალური მუშაკებისთვის, იმ ქვეყნების გამოცდილების გამოარება, სადაც ეს ინსტიტუტი კარგად არის ჩამოყალიბებული, ძალიან მნიშვნელოვანია.

იაგო კაჭკაჭიშვილის თქმით, ზოგადად სოციალური მუშაკებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკა ორგანიზაციებში, სადაც სოციალური მუშაკები ეცნობიან მოდელს, თუ რა სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო მოწყველად ჯგუფებს და რა როლი აკისრია ამ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს.

„პროექტის ფარგლებში თსუ-დან ჩართული სოციალური მუშაკები, მათ შორის მეც, როგორც სოციალური მუშაკების მიმართულების ხელმძღვანელი, გაღწიეს ვიზიტისას, ვიყავით სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებში, სადაც იყო ძალიან საინტერესო პრეზენტაციები, როგორ შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ სოციალური მუშაკები სერვისების მიწოდებაში და ა.შ., ეს კი ქართველი სოციალური მუშაკებისთვის მნიშვნელოვანი ცოდნაა.“ – აღნიშნავს თსუ პროფესორი.

5 ათასი წლის წინანდელი სამარხები სოფელ დოღლაურთან

პირველი გვერდი

არქეოლოგების თქმით, აქ გვხვდება მრავალჯერადი დამარხვის ფაქტები, საოჯახო გიპის აკლამბები, რომლებიც რიყის ქვითაა აგებული.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია უამრავი მასალა. დიდი რაოდენობით გვხვდება კერამიკული ნივთები, თხის საყოფაცხოვრებო ნივთები, გვხვდება ბრინჯაოს ნაწარმი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღრე რკინის ხანის სამარხში პირველად დადასტურდა

ისეთი ლითონის არსებობის ფაქტი, როგორცაა გყვია. სამარხებში ვხვდებით ადამიანებისა და ცხოველების ძვლის ფრაგმენტებსაც. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია კოლხური გიპის ბრინჯაოს ცული, რომლის გამოყენებაც აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ იშვიათი ყოფილა.

აღმოჩენილი მასალა დაბინავდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებში.



საერთაშორისო საავტორი სამართლის სასერთიფიკატო კურსი ოსუ-ში

სულ ცოცხალი ხნის წინ საქართველოს საავტორი უფლებათა ასოციაციის მიერ ოსუ-ში დაიწყო უკვე აღნიშნული საერთაშორისო საავტორი სამართალი შექმნა. პროგრამა, რომელიც ჩიკაგოსა და კალაბრიის უნივერსიტეტებთან პარტნიორობის საფუძველზე ხორციელდება, ფაკულტეტზე სულ მალე დაიხრება. კონკრეტულად რას წარმოადგენს იგი და რითია საინტერესო, ამის განმარტება იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, ასოციირებულ პროფესორს, **ირაკლი ბურდულაძეს** ვთხოვეთ.

– რას წარმოადგენს საავტორი სამართლის სასწავლო პროგრამა და რამ განაპირობა მისი შექმნა?

– ეს არ არის პირდაპირი გაგებით სასწავლო პროგრამა. ეს იქნება ერთსემესტრიანი სასერთიფიკატო კურსი, რომლის მთავარი დანიშნულება მაგისტრანტებისათვის თუ პრაქტიკოსი იურისტებისათვის საავტორი სამართალში ცოდნის გაღრმავება იქნება. ეს შეეხება კერძო სამართლის ამ ადგილებს, რომლებიც უშუალოდ იღებენ „ქეისებს“ ინტელექტუალური საკუთრების სამართალში. ეს სასერთიფიკატო პროგრამა ემსახურება შემდგომ განათლებას. საბოლოო ჯამში იგი შეიძლება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიზნეს ინტერესებზე იყოს გათვლილი. იურიდიულ ფაკულტეტზე არის ძალიან ბევრი პროგრამა, მათ შორის საერთაშორისო და სამაგისტრო, რომლებიც თავის თავს ინახავენ. ჩვენ გვინდა დავიწყოთ ისეთი პროგრამების განხორციელება, რომელიც წმინდა ბიზნეს-ინტერესებზე იქნება გათვლილი და ბევრ ფულს შემოუტანს უნივერსიტეტს და ფაკულტეტს. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი სწორედ ეს სასერთიფიკატო პროგრამაა. იგი უფრო მეტი სტუდენტისა და დაინტერესებულ პირის მისაბიძად ამ სემესტრში უფასო იქნება. მეორე სემესტრიდან კი, როდესაც მისი მოდიფიცირება მოხდება, კონკრეტული თანხა დასახელდება.

– საერთაშორისო რა თანხაზეა საუბარი? ეს კურსი ფასიანი იქნება ყველასთვის თუ გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის?

– თანხის ოდენობა ჯერ არ არის განსაზღვრული, ჩვენ სტუდენტებს ექნებათ გარკვეული ქვოგა, ეს იქნება დაახლოებით 15 კაცი, ჯგუფი სულ იქნება დაახლოებით 35-40 კაციანი. ჯგუფის დანარჩენი ნაწილი, დაახლოებით 20-25 კაცი გადახდის ფულს, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს თანხა იქნება მინიმუმ 400-500 ლარი. დღესთვის რეგისტრაცია უკვე დასრულებულია. კურსის პირველი ნაწილი 3 თვის განმავლობაში ჩატარდება.

– როგორ ხედებიან ამ ქვოგამი სტუდენტები? რას მიეჩვენებენ ყურადღება სტუდენტების შერჩევასთან?

– რაც შეეხება ჩვენს სტუდენტებს, ისინი ბაზის მეშვეობით რეგისტრირდებიან საგნებში, რომელიც შედის ამ სასერთიფიკატო კურსის პროგრამაში. ის შედგება 4 საგნისგან, რომელსაც უცხოელი და ქართველი ლექტორები კითხულობენ. თითოეულ

საგანზე ჩვენ 15 სტუდენტი დარეგისტრირდება. ეს ოთხივე საგანი იქნება ბაზაში მოცემული. სტუდენტს შეუძლია ამ საგნებიდან აირჩიოს ერთ-ერთი, ან ორი საგანი. თუ ოთხივე საგანს აირჩევს, ყველას წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიიღებენ სერთიფიკატს. თუ სტუდენტი ოთხზე ნაკლებ საგანს აირჩევს, ამ შემთხვევაში სერთიფიკატს ვერ მიიღებს. თუმცა, აიღებს კრედიტებს იმ საგნებში, რომელსაც აირჩევს. რაც შეეხება გარეშე პირებს, რომლებიც ამ სასერთიფიკატო პროგრამაზე შემოვიდნენ, ისინი გადაიხდიან ფულს და ვალდებული იქნებიან ოთხივე საგანი წარმატებით ჩააბარონ. ამ გარეშე პირებისთვის დადგენილი იქნება გარკვეული კრიტერიუმები გასაუბრების სახით, იმის დასადავებლად, იცინ თუ არა ინგლისურად.

– რამდენად ვიცი ეს პროგრამა კალაბრიის და ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორების მონაწილეობით ხორციელდება, რა ენაზე ჩატარდება ლექციები?

– ქართველი ლექტორები ქართულ ენაზე ჩატარებენ, ხოლო უცხოელი ლექტორები ინგლისურ ენაზე. ანუ ეს იქნება კომპლექსი – ინგლისური და ქართული ენისაგან შემდგარი კურსი.

– თქვენ ახსენეთ, რომ ეს კურსი ფინანსურად მომგებიანი უნდა იყოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისთვის. რაგომ ფიქრობთ რომ იგი კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი იქნება?

– იმიტომ რომ საბაზისო მოთხოვნა არსებობს. ამ კურსზე 60 კაცია უკვე დარეგისტრირებული. ამხელა ჯგუფების მართვა ცოცხა გაჭირდება. ახლა ჯგუფის ორ ნაწილად გაყოფაზე გვაქვს საუბარი. თითოეული საგნის ჯგუფში აღამიანების ასეთი რაოდენობა არ უნდა იყოს, რადგან ამ შემთხვევაში ინტერაქციული გამოკითხვა და თანამედროვე სწავლის მეთოდების გამოყენება რთულდება. ეს შეეხება კამპუსების განხილვას, კითხვა-პასუხს თუ დისკუსიას. ეს არის საავტორი სამართალი, ინტელექტუალური სამართლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ძირითადი აქცენტი საავტორი და მომიჯნავე უფლებებზე გავაკეთეთ. საქართველოში საავტორი უფლებების დასაცავად ჩამოყალიბებული ავტორთა საზოგადოება, რომელიც არის კოლექტიური მართვის ორგანო. ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ჯანსაღი კონკურენტის არსებობა ამ სფეროში. თუკი ამ სფეროში განათლებული საზოგადოება არ გვეყოლება, ვერ გვექნება ჯანსაღი კონკურენცია და არ გვეყოლება განათლებული იურისტები, რომლებსაც კარგად ესმით ეს საგანი და მოახერხებენ დარღვეული საავტორი უფლებების დაცვას. არსებობენ ადვოკატები, იურისტები, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ საქართველოში, შესაბამისად ამ კურსის მიზანი მათთვის უფრო ღრმა ცოდნის მიწოდებაა. ამ კურსის გავლით ისინი შეძლებენ კვალიფიკაციის ამაღლებას თანამედროვე

საავტორი სამართალში, ინტელექტუალური საკუთრების სამართალში. გაცენობიან თანამედროვე მიღწევებს, რომელიც დირექტივების თუ სახელმძღვანელო პრინციპების სახით არსებობს ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში.

სამომავლოდ ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ ღონისძიებები დავაინტერესოთ და ინტელექტუალური საკუთრების სამართალში სამაგისტრო პროგრამა განვხორციელოთ. ეს იქნება ერთწლიანი LLM-ის გვიან სამაგისტრო პროგრამა, როგორც მდინარე განათლება. ჩვენ სამაგისტრო პროგრამა ორწლიანია და 120 კრედიტია. თუ განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებული პროგრამა არ გაქვს გავლილი, მოსამართლე, პროკურორი ვერ გახდება, რადგან ეს არის წინაპირობა პროფესიაში შესასვლელად. მაგრამ ერთწლიანი პროგრამა არის დამატებითი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომლის შეთავაზებაც გვინდა საზოგადოებისთვის. ჩვენ გვაქვს სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობაში, ასევე როგორც ინგლისურენოვანი, ისე გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამებიც, მაგრამ გვინდა შევქმნათ ასეთი ქართულენოვანი მოკლე სამაგისტრო პროგრამები, რადგანაც LLM-ის გვიან სამაგისტრო პროგრამები მოგადად მიღებულია მთელს მსოფლიოში. ამიტომ, ჩვენი საბოლოო მიზანია სასერთიფიკატო პროგრამის შემდეგ 2013-14 წლისთვის სტუდენტებს ამ გვიან სამაგისტრო პროგრამა შევთავაზოთ, უფრო მეტი უცხოელი ლექტორით, უფრო მეტი საგნით, და ასევე სამეცნიერო კვლევით.



ფოტოკონკურსი სტუდენტებისთვის

„იარე ჩვენთან ერთად“ ... ამ სლოგანით ოსუ საზოგადოებასთან ერთად იერთობს დეპარტამენტი საზოგადოებას ყოველ თვე ახალ პროექტს წარმოუდგენს. პროექტთა ციკლი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეს ეძღვნება.

პირველი პროექტი, რომელიც იუბილისადმი მიძღვნილი ამ ღონისძიებების ფარგლებში გადგება, სტუდენტური ფოტოკონკურსი „UNIკადრია“. კონკურსის მონაწილეებმა უნივერსიტეტთან დაკავშირებული უნივერსალური კადრის გადაღება უნდა შეძლონ. გამარჯვებულები სამ ნომინაციაში გამოვლინდებიან: 1. უნივერსიტეტის საუკეთესო პორტრეტი; 2. შენობის ფასადის ან უნივერსიტეტის დეკორაციის საუკეთესო ფოტოკადრი; 3. სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი საუკეთესო კადრი. მონაწილეობის მსურველებმა 25 ნოემბრის ჩათვლით ფოტოები საკონკურსო მისამართზე unikadri@tsu.edu.ge უნდა გადმოგვანონ. თითოეულ კონკურსანტს შეუძლია ყოველ ნომინაციაში ოსუ-ს თემატიკაზე გადაღებული მაქსიმუმ ორი ფოტო წარმოადგინოს. ფოტოსურათის ავტორმა სახელის გარდა მას მოკლე აღწერაც უნდა დაურთოს. ფოტოკონკურსის საპრიზო ფონდი 600 ლარი და სხვა პრიზები გამარჯვებულ სამეულზე გადანაწილდება. ფოტოკონკურსის დასასრულს გამართულ გამოფენაზე 30 საუკეთესო ფოტო იქნება წარმოდგენილი. კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულთ ოსუ-ს ვებ-გვერდზე: <http://www.tsu.edu.ge> და ფეისბუქის გვერდზე: www.facebook.com/TbilisiStateUniversity შეუძლიათ.



ოსუ – სიახლეები

ვერობა, ამია.“
სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის თემაზე „რომ არ ყოფილიყო რუსთაველი“ საღაც გამოვლინდა სამი გამარჯვებული, მათ სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

სიმპოზიუმში შემდეგ თემატიკას მიეძღვნა: მთავარი რუსთაველი და მისი პოეზია; შუა საუკუნეების ლიტერატურა და თანამედროვე სალიტერატურო პროცესი; შუა საუკუნეების ლიტერატურული გრაფიკა. აღმოსავლეთი და დასავლეთი; შუა საუკუნეები: ეპოქა და კულტურული გენდერის ცვლილება; შუა საუკუნეების ლიტერატურული ენობრივი; შუა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურა. მიუწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები. კონფერენცია სამ დღეს გასტანს.

25 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროფესორ ალექსანდრე რონდელის საჯარო ლექცია – „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართება.“

26 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამართა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბუკური გამოცემის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი „შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესები. საქართველო,“

პრემიაციები.
ნაშრომი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროფილის პირველ მონოგრაფიას წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია მკითხველს კომპლექსურად გააცნოს იაპონიის ისტორიულ-კულტურული ფენომენი. საკვლევი მასალის თემატურად დაჯგუფების პრინციპით, ნაშრომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენილი და გაანალიზებულია იაპონიაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოლოგიური და კულტურული პროცესები უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის მიწურულამდე.

2 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კოლუმბიის (აშშ) დიპლომატიური აკადემიის დირექტორმა მარია გერესა აია სმიტანსმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „კოლუმბია, შესაძლებლობების მიწა.“

3 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერის ზესიკა კანკიას (ქიმიის დეპარტამენტი, რადიობიოლოგიის და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი, მინესოტას უნივერსიტეტი, აშშ) საჯარო ლექცია – „დმ-ზე დაფუძნებული დიაგნოსტიკა.“

8 ოქტომბერს ოსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზნესინსტიტუტისა და

